№ 18 იანვარი 24, ხუთშაბათი 1891 იანვარი 24, ხუთშაბათი № 18

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუდიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანტოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

## ა. ი. ფიურერის ცირკი

ხუთშაბათს, 24 იანვარს, გამართული იქნება საუცხოვო წარმოდგენა დასისა და მთელი კორდებალეტის მონაწილეობით. დასასრულ ითამაშებენ დიდის ხნის ნამზადისს მშვენიერს ფანტასტიურს პანტომიმას: ივან ცარევიჩს, რომლის სიუჟეტი ცნობილ სალხურ არაკიდგან არის აღებული.

ანონსი: მზადდება ახალი მშვენიერი ისტორიული პანტომიმა — თ ა მ ა რ ი.

ყოველ დღე გმართავს წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირა და უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისათვის მლიერ დაკლებულის ფასით და სადამოობით.

ვისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ ცირკის რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, სალამოსი — 8 საათზედ.

### ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად ჰსთხოვს ყოველს, ვისაც-კი მოეპოება ან შეჰკრებს ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, ლეგენდებს, ლოცვებს, შელოცვებს, ცრუ-მორწმუნებებს, — გამოუგზავნოს ამხანაგობის გამგეობას დასაბეჭდად „ხალხურ ზეპირ-სიტყვაობათა“ კრებულში.

კრებულში შეტანილს ზეპირ-სიტყვაობასთან აღნიშნული იქმნება სახელი და გვარი შემკრებისა, თუ ამას მოისურვებს იგი. ადრესი: Тифлисъ правленію Грузинскаго издательскаго товарищества. (5—2)

ტფილისი, 23 იანვარი

გუშინ-წინდელ „ივერიის“ ნომერში ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი რომიდამ მოსული დეპეშა, რომელმაც გვაუწყა იტალიის მთავარ-მინისტრის, კრისპის, დამარცხება. ეს ამბავი მოულოდნელი იყო, რადგან შარშან ნოემბერში მომხდარ საპარლამენტო არჩევნებზე მთავრობის მომხრე დასმა გაიმარჯვა და ვინ იფიქრებდა, თუ კრისპის ასე მალე ახალი პალატა გამოუცხადებდა, ალაჲ გენდობითო. მაგრამ საგანი, რომელმაც გამოიწვია ასეთი უნდობლობა პალატისა და რომელმაც დაამარცხა კრისპი, ისეთია, რომ ადრე თუ მალე ასე უნდა მომხდარიყო, თუ ბ-ნი კრისპი არ შესცვლიდა თავისს საგარეო პოლიტიკას. რადგან ეს დიდად საძნელო იყო კრისპისთვის, რადგან უარს ვერ იტყოდა თავის მიერვე დადებულს სხვა-და-სხვა ხელ-შეკრულობაზე, უეჭველია, დამარცხების მოლოდინი უნდა ჰქონოდა და კიდეც მოხდა ასეთი დამარცხება. ეს მძიმე საგანი, რომელმაც დღამის დაამარცხოს კრისპის სამინისტრო, გახლავს ხარჯის მომატება.

ამ ბოლოს დროს იტალიის ერი ისე დაუძლურდა და დასუსტდა ქონებით, ისე შეაწუხა უზომო გადასახადმა, რომ თითქმის არაქათი გამოელია. სოფლისა და ქალაქის მუშა ხალხი ისეთს სიღარიბეში ჩავარდა, რომ ხსნა აღარსაიდგანა ჰქონდა. არაქათ გამოლეული, გაღატაკებული მკვიდრი უმადურ სამშობლოს თავს ანებებდა, შორს მიურბოდა და მიეშურებოდა ამერიკისაკენ ლუკმა-პურის საშოვნელად. ქვეყანა ვერანდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ შარშან ორს უკეთესს პროვინციაში, რომანიასა და ლომბარდიაში გლეხების აღელვება მოხდა და მთავრობამაც, ბევრს ვაივაგლახს შემდეგ, ძლივს დააშოშმინა შიმშილისაგან გამწარებულნი მუშაკნი. ძირს დაემხო აგრეთვე ვაჭრობა იტალიისა საფრანგეთთან, რადგან მთავრობამ უშველებელი ბაჟი დაადო საფრანგეთიდგან შემოსატან საქონელს. საფრანგეთმაც ასეთივე განკარგულება მოახდინა და იტალიის საქონელი, მისი ნაწარმოებ-ნაღვაწი გაუსყიდველი რჩებოდა ადგილობრივვე და ამით მწარმოებელს დიდი, აუარებელი ზარალი ეძლეოდა.

მერე რამ გამოიწვია ასეთი ერის ინტერესების წინააღმდეგი, საგარეო პოლიტიკა იტალიის მთავრობისა? კრისპი რომ სახელ-განთქმულია, როგორც ერთგული მამულისშვილი, მისთვის თავ-განწირული მებრძოლი, რომელიც სიცოცხლეს არა ჰზოგავდა თავის სამშობლოს გაერთანებისათვის, ბედნიერებისთვის. ნუ თუ საფიქრებელია, რომ სწორედ ის მამულის მოღვაწე გაუთხრიდა სამშობლოს ორმოს, რომელსაც ამდენი ღვაწლი დასდო? დიაღ, ძნელად საფიქრებელია, მაგრამ ნამდვილად საქმე-კი ასე იყო. აი სად იმალება სათავე ამ უცნაურის გარემოებისა.

როდესაც პრუსიამ და მისმა სულის ჩამდგმელმა თ. ბისმარკმა საფრანგეთი გალეწა და დედამიწასთან გაასწორა, მას შემდეგ განდიდებული პრუსია, იმპერიად გადაქცეული, სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაში იყო, რომ თავისი მხედრობა ერთი ათასად უკეთესად მოეწყო, რადგან დედამიწასთან გასწორებულს საფრანგეთს შეეძლო ფენიქსებრ განახლებულიყო და მაშინ ხომ პასუხს მოსთხოვდა თავისს შეურაცხმყოფელებს. ეს გარემოება ბისმარკს გულში ეკლად ჰქონდა და მეცადინეობას არა ჰზოგავდა, რომ ეს არა სასიამოვნო დრო არას დროს არ დამდგარიყო. როგორ უნდა მოეხერხებინა? მარტო მხედრობის გამრავლება არა კმაროდა, რადგან ამასაც თავისი უკიდურესი საზღვარი აქვს და შეიძლება მეტის მეტმა გამრავლებამ მხედრობისამ სახელმწიფო ძირს დასცეს. მაშასადამე, ბისმარკს უნდა ეძებნა მეგობრები, რომ თუ ოდესმე საფრანგეთი პასუხს მოსთხოვდა, შესძლებოდა რიხიანი პასუხი მიეცა. მოხერხებულმა ბისმარკმა მალე იშოვა ამისთანა მეგობრები. ესენი არიან: იტალია და ავსტრი-ვენგრია. ამ ორს სახელმწიფოს ბისმარკმა პირობა ჩამოართვა და ხელ-შეკრულობაც დაუდო რომ, თუ ჩემი მეგობრობა გსურთ, რათმე აფასებთ, გააძლიე-

## ფელეტონი

### ათაბაგნი ბეგა და აღბუღა

და

მათი სამართალი.

### VIII

წოდებრივმა წყობილებამ ოჯახსაც განსხვავებული ფერი დასდო. საათაბაგოს ოჯახი დაფუძნდა „გვარსა ზედა“. ამიტომ თითოეულს წოდებას საკუთარი სისხლი სდიოდა საოჯახო დანაშაულობისათვის. მაგალითებრ, აღბუღას სამართალი ყურადღებას აქცევს მრუშებასა და აშიყობას. როცა დიდებული ანუ აზნაური თანასწორ კაცის ცოლთან იმრუშებდა, („გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს“), თუ ქმარმა ცოლი დააგდოს, „უზღოს მოაშიყემან თორმეტი ათასი თეთრი და თუ არ დააგდოს, ექვსი ათასიო“. ცალიერს აშიყობას სამართალი სისხლს არა სდებდა, — მოაშიყეს სამდურავის მეტი არა მოელისრაო, („თუ აშიყობა კაცისაგან გამოჩნდეს, ემდუროდეს, არა საკვირველია“), მაგრამ მაინც საჭიროა მოაშიყემ „უქნელობა“ იფიცოს „თავითა და ერთის აზნაურიშვილითა“ — უბრალო კაცის მოწმად მიყვანა არ შეიძლებაო (მუხ. კზ, კთ). საათაბაგოს სჯულმა, ამ შემთხვევაში, ახალი არა დააწესა-რა, იგი მხოლოდ გაკვლეულს გზასა და ჩვეულებას დაადგა. ძველადვე საქართველოს მეფენი, როცა დიდებულსა და აზნაურს სიგელს უბოძებდნენ, სხვათა შორის, გვარის შესაფერს საოჯახო სისხლსაც უჩენდნენ[105]). „გვარსა ზედა“ სისხლის დენამ ცოლის საოჯახო მდგომარეობაზედაც გავლენა იქონია. ჩვეულება ამბობდა: ყველამ თავის წოდების ქალი შეირთოსო, მაგრამ თუ ვინმე თავისზე „უსაპატიოესს“ მოიყვანდა ცოლად, სამართალი ქალს უბრძანებდა — „მაცხოვარმან დაწყევასა შიგან ესრედ რქვა: ქმარისამცა შენისა მიმართ არს მიქცევა შენი“. როცა ქმარი ასეთს „უსაპატიოესს“ ცოლს დააგდებდა, „რასაცა გვარისა იგი კაცი იყოს, ევეთსა მეტი სისხლი არა მართებსო“ (მუხ. ლა.)

„გვარს“ გარდა, საათაბაგოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „საპატიო ხელსაც“, რომელიც ღირსებას სძენდა ოჯახსა და მაშასადამე სისხლსაც ჰმატებდა. მართალია, აღბუღა „საპატიო ხელს“ მხოლოდ ხუცის ოჯახის შესახებ იხსენიებს, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ სასულიერო წოდებას უმთავრესი ადგილი ეჭირა ცხოვრებაში და უმეტესად იგი წოდება იყო პატივდებული, თუმცა საერო კაცისათვისაც „საპატიო ხელი“ საკუთარს ღირსებას შეადგენდა. საეკკლესიო კანონმა და კერძოდ ნეოკესარიის კრებამ დაადგინეს, ხუცმა მრუში ცოლი დაუტევოს, თუ არა და — ‹ჩოხა› ჩაიცვას და ერის კაცი შეიქმნესო[106]). ეს სავალდებულო იყო საათაბაგოს ხუცისთვისაც და რადგანაც მაცდურებას ხშირად ვერც იმის ცოლი გადარჩებოდა, ამიტომ აღბუღამ დააწესა: თუ კაცმა ხუცის ცოლს უაშიყოს და „დასტურად თანაყოფა გამოჩნდეს“ (თანხმობით მრუშება მოხდეს), მაშინ ხუცს ნება აქვს ცოლი არ გაუშვას და მხოლოდ ‹წირვა დააგდოსო›. ხოლო მაცდურმა კაცმა „სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუურვოს და ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვისო“... მაგრამ შეიძლება მრუში „განქიქებას“ არ დასჯერებოდა, მეშვიდე მცნებასთან მეათეც დაერღვია, — ხუცის ცოლი „წაეგვარა“. მაშინ? — ნახევარი სისხლი ცოტაა და სრული უნდა უზღოსო, „ამად რომ ხუცი ძნელსა ყოფასა დაებმის: ანუ ჩოხასა ჩაიცვამს“, თუ არა და, ბერად შესდგებაო (მუხ. მბ.) „ჩოხის ჩაცმა“ და „წირვის დაგდება“ ნიშნავდა „საპატიო ხელის“ დაკარგვას და ვინც ამ ზარალს მიაყენებდა ხუცსა, ორკეცი სისხლი უნდა დაეურვა — ერთი „წაგვრისა“ და მეორე „საპატიო ხელისათვის“ და ეს იმიტომ, რომ იგი „საპატიო ხელი“ შევრჯელ წოდებრივს ღირსებას უდრიდა. ხუცის ცოლს აღბუღა მეტად ჰქომაგობს და მფარველობს, — თუ ამ პატივდებულს დიაცს სახლში ვინმე შეუვარდეს, „სისხლსა სამოცი ათასი სხვა ემატოსო“ (მუხ. ოე.) მაგრამ „საპატიო ხელი“ საზოგადოდ ყველა ოჯახს ანიჭებდა განსაკუთრებულს თვისებასა.

თუმცა საათაბაგოს ოჯახში დარჩენილა თითო-ოროლა ისეთი წესი, რომელიც უძველეს დროს ეკუთვნის და ბარბაროსულ ცხოვრების ნაშთს შეადგენს, მაგრამ ოჯახს არც წარმატება და განვითარება აკლია. ისტორიული შედარება ასაბუთებს ამ დასკვნას. ოჯახის დასაწყისი და პირველდელი ფორმა ეგრედ წოდებული სქესებრივი აღრევაა, ისეთი მდგომარეობა, როცა კაცი და ქალი პირუტყვის მსგავსად ასრულებენ ბუნების მოთხოვნილებას. მაშინ სქესებრივი დამოკიდებულება ყველაფრით ცხოველურია. კაცს დროებით კავშირი აქვს ქალთან. შვილს მარტო დედა ახსოვს, მშობლად მხოლოდ იგი მიაჩნია და მამას ვერ იცნობს. მაშინ ერთად-ერთი ნათესაობა არსებობს დედეულობა. ეს სქესებრივი აღრევა და დედეულობა (матерниветъ) პირველი ნაბიჯია, რომლითაც ყველა ხალხმა დაიწყო საოჯახო ცხოვრება. თვით ევროპაში ამ ნაბიჯს ეხლაც ვერ გასცილებია ზოგიერთა ხალხი და რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას, სახელდობრ არხანგელსა და ხარკოვის გუბერნიაში, ჩვენს დროსაც სქესებრივი აღრევა სწარმოებს[107]). საბერძნეთის მწერალნი და მეისტორიენი ჰმოწმობენ, ასე იყო ძველად საქართველოშიაცაო[108]) და აწინდელს დროს ხომ დედეულობის ნაშთი ცხოვლად შენახულია ხევსურეთში[109]). საათაბაგოს ოჯახსა დიდს მანძილზედ დაუტოვებია ის ხანა, როცა სქესებრივი აღრევა და დედეულობა არსებობდა. სამართალში მკრთალად და ბუნდოვნად მოსჩანს მხოლოდ რამდენიმე კვალი ბარბაროსულ საოჯახო წყობილებისა. სქესებრივი აღრევა გამქრალა და ოჯახი მონოგამიური შექმნილა, თუმც სრულიად არც პოლიგამიას დაუკარგავს თავისი ძალა. პოლიგამიას ნაშთს შეადგენს, მაგ., ეგრედ წოდებული ბიჭი (უკანონო შვილი). აღბუღა ამბობს, ბიჭი უფლებას მოკლებული არ არისო, დედას ეკუთვნის და თუ ბიჭი დიდებულს ყმად ჰყავს „აზნაურულის წესითა და სამამულისა რასმე ქონებით, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოსო“ (მუხ. ლბ.) პოლიგამია, რომელიც ახლო სდგას სქესებრივს აღრევაზე, წინ უძღვის მონოგამიას და უძველესის დროს ნაანდერძევია. მისი ნაყოფი ყველა ხალხმა იგემა და შორს რომ არ წავიდეთ, რუსეთის დასახელებაც საკმაო იქმნება. აქ ჯერ ისევ მეცამეტე საუკუნეში ჩვეულება ნებას აძლევდა კაცს ოც ცოლზედ მეტი ჰყოლოდა და თვით სახელოვან კნიაზ ვლადიმერს რვაასი ხასა ჰყავდა და ექვსი კანონიერი ცოლი[110]). რასაკვირველია, ჩვენ საძნელოდ ვხადით განვმარტოთ — საათაბაგოში როგორ და როდის მოისპო პოლიგამია და გზა დაუთმო მონოგამიას. ესკია, რომ იქაც საოჯახო განვითარება საზოგადო კანონს ექვემდებარებოდა და ერთ ცოლიანობა მრავალ ცოლიანობისაგან

105) Д. П. Пурцеладзе, Дворянскія грамоты, 36—9.

106) М. Богословскій, „Курсъ“... 119—120.

107) М. Ковалевскій, Первобытное право, II. стр. 4—6.

108) Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ, 1. стр. 14, 40, 47, Гана. ცნობები ვრცლად მოყვანილია ჩემს მონოგრაფიაში — „ძველი ქართული ოჯახი.“

109) М. Ковалевскій, Законъ и Обычай на Кавказѣ, I. стр. 116, 118.

110) Первобытное Право, II, стр. 76.

რეთ თქვენი მხედრობაც ისე, როგორც მე ვიქცევიო და მაშინ მთელის ევროპის ბატონებიც ჩვენ შევიქნებითო და ყოველს ჩვენს სურვილსაც ადვილად და ხელ-შეუშლელად შევისრულებთო. იტალია აჰყვა ბისმარკის ტკბილს სიტყვებს, გაიტაცა ბრწყინვალე მომავლის იმედებმა, რომ ამ მძლავრის კაცის შემწეობით ნატვრას ავისრულებთო და შეუდგა ჯარის გამრავლებას და მის უკეთესად მოწყობას. მთავრობამ მარტო ათის წლის განმავლობაში იმოდენა ვალი წამოიდო კისერზედ, რომ წელიწადში მარტო სარგებელს 300 მილიონ ლირს იხდიდა. ამოდენა ხარჯს, რასაკვირველია, ღმერთი ზეციდან არ ჩამოუყრიდა მანანასავით და ხალხს გარდასახადი იქამდის მოუმატეს, რომ ლამის სული ამოხდეს.

მერე რას დაჰპირდა იტალიას თ. ბისმარკი? ბევრს არაფერს. სა ფრანგეთს წავართვათ ორი თქვენი პროვინცია: სავოია და ნიცცა და, შეიძლება, მეგობარი ავსტრი-ვენგრიაც დავიყოლიოთ, დაგითმოს ტრიესტი და ტრიენტი და ავსტრი-ვენგრიას-კი სამაგიეროდ ბალკანეთში მოუჭრათო. აი რა კარგმა ტკბილმა იმედებმა აიყოლიეს და რისთვის იგლავდა თვით კრისპი თავს და რისთვის უმატებდა ერს გადასახადსა. გაერთიანების ბრძოლის გმირს, კრისპის, ჰსურდა თავისისავე სიცოცხლეში დაემთავრებინა საყვარელი საქმე და მერმე მშვიდობით მომკვდარიყო.

მაგრამ ერმა არ მოიწონა ასეთი პოლიტიკა კრისპისა. მაგ გზით ვერას მოვიგებთ. ავსტრი-ვენგრია ჩვენი ძველი, დაუდალავი მტერია და თავისის ნებით არას მოგვცემსო. საფრანგეთი ჩვენი ძველი მეგობარიც არის და ერთ სისხლ-ხორცია. თუ ვისთანმე მეგობრობაა საჭირო, ისევ საფრანგეთთან, მით უმეტეს, რომ ამ ქვეყანასთან ისე მჭიდროდ ვართ შეკავშირებული გვარტომობით და ეკონომიურად, რომ მასთან ჩხუბი და დავიდარაბა ათას უბედურებაში გვაგდებს და გვღუპავსო. ირრედენტისტების მეთაურმა იმბრიანიმა და რადიკალმა ბოვიომ პირში მიახალეს ესეთი საყვედურები კრისპისა.

თუ იტალიის მეფემ შეიწყნარა კრისპის თხოვნა და სამსახურიდგან გადადგომის ნება მისცა, უეჭველია, დიდი ცვლილება უნდა მოხდეს იტალიის გარეშე პოლიტიკაში. შეიძლება იტალია უფრო მჭიდროდ დაუახლოვდეს საფრანგეთს და განზე გაუდგეს გერმანიასა და ავსტრი-ვენგრიას. ამ გარემოებას ხომ დიდი მნიშვნელობა ექმნება ევროპის საპოლიტიკო ცხოვრებაში.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ამას წინად ჩვენ გაზეთში დავბეჭდეთ დეპეშა იმის შესახებ, რომ ბათუმში ამ დღეებში შუადღისას გასძარცვეს ბ-ნ როტშილდის მუშათა ამხანაგობის გამგე ლებედევი და წაართვეს ათასი თუმანი ფულიო. პოლიციამ მაშინვე ავაზაკების ძებნა დაიწყო და ამ აზრით თავისი მოხელეები გაგზავნა სხვა-და-სხვა ალაგებში საძებნელად. ამ თთვის 19 ღამის სამ საათზე ერთი ავაზაკთაგანი შეუმჩნევიათ ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ჩაქვაში მომავალი ორს მესაზღვრე დარაჯს, შეუმჩნევიათ და შეუძახნიათ მისთვის „შედეგ! ვინა ხარო?..“ ის არ შემდგარა და ფეხი აუჩქარებია გასაქცევად. მესაზღვრე დარაჯნი უკან გამოსდგომიან ყვირილით «დადექ თორემ თოფს გესვრითო». ავაზაკი მაინც არ შემდგარა, ჯიბიდგან ამოუღია რევოლვერი და სდომებია დარაჯების მოკვლა, მაგრამ დარაჯებს დაუსწრებიათ, თოფის სროლა, ტყვია მოხვედრია ავაზაკს საფეთქელში და იქვე განუტევებია სული. ეს ამბავი მაშინვე უცნობებიათ ბათუმში, საიდგანაც მოსულან პოლიციის ბოქაული თოფურიძე და პროკურორის ამხანაგი ბ-ნი კოვანი, რომელნიც მოვიდნენ თუ არა ჩაქვაში, მაშინვე გამოძიებას შეუდგნენ. ბრალმდებელის ამხანაგმა ბ-მა კოვანმა, ავაზაკის გვამის გასინჯვის შემდეგ, აიღო ხელში გასაშინჯათ რევოლვერი, რომელსაც ჩახმახი ნახევრათ შეყენებული ჰქონდა. ბ-ნ კოვანის მიერ რევოლვერის გასინჯვის დროს უცბად გავარდა და ტყვია მოხვდა ბათუმის პოლიციის ბოქაულს თოფურიძეს მუცელში. ბ-ნმა კოვანმა მაშინვე გამოუცხადა სადგურის უფროსს რომ უცბათ პოლიციის ბოქაული დაჭრილო და მომეცი მატარებელი დაჭრილის ბათუმში გასაგზავნათაო. სადგურის უფროსმა მაშინვე მოითხოვა ორთქლ-მავალი და დაჭრილი ბათუმში გაგზავნეს. ტყვია უკვე ამოუღიათ.

*** გუშინ-წინ, 22 იანვარს, ქართულს დრამატიულს დასს სომხეთა არტისტის ადამიანის სასარგებლოდ დანიშნული ჰქონდა წარმოსადგენად „ხათაბალა“. დანიშნული-კი ჰქონდათ „ხათაბალა“, მაგრამ ხათა და ბალა ის არის, რომ ჩვენი დასი ამ ბოლოს დროს მარტის თთვეობს და უკულმართობს. ეხლაც ასეთისავე უკულმართობის წყალობით ეს პიესა გადასდეს და ამის მაგიერად წარმოადგინეს „დროებითი სიყვარული“ და „ბაიყუში“. წარმოდგენას ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო, ასე რომ ხარჯს ვერ დაჰფარავს შემოსავალი. სომხეთაგან სულ ორი კაცი იყო.

*** ჩვენ მოგვივიდა წარსულის წლის ანგარიში ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა, დაბეჭდილი ცალკე წიგნად. ეს მეთოთხმეტე წელიწადია, რაც ეს საზოგადოება არსებობს (1877 წლიდამ). ანგარიში კარგა ხანია საზოგადოებას აღარ დაუბეჭდია ცალკე წიგნად. ანგარიშში ჩართულია სხვათა შორის ის სიტყვა, რომელიც მოახსენა ამ საზოგადოების დეპუტაციამ მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს მის ტფილისში ყოფნის დროს, როცა მიართვა საპატიო დიპლომი; ჩართულია აგრეთვე აზრი ბეითალის იგნატიევისა მაკე ძროხების საკლავად ხოცვის შესახებ და გარდაწყვეტილება ტფილისის საქალაქო გამგეობისა ამავე საგნის თაობაზე. საკუთრად ანგარიშს საზოგადოების მოქმედებისას უჭირავს 12 გვერდი წიგნისა. ბოლოს ფულის ანგარიშია დაბეჭდილი. წარსულს საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონია 637 მან. 67 კაპ. შემოსავალი წლის განმავლობაში ჰქონია 679 მან. 56 კაპ. სულ 1317 მან, 23 კაპ. აქედამ დაუხარჯავს 670 მან. 32 კაპ. დარჩა კიდევ საზოგადოებას 1890 წლის პირველ იანვრისთვის 646 მან. 91 კაპ. საანგარიშო წელიწადი საზოგადოებისა გასტანს 1889 წლის 4 მაისიდამ 1890 წლის 4 მაისამდე. დამატებად ანგარიშის ბოლოს დაბეჭდილია სია იმ ნივთებისა, რომელიც წარუდგენია საზოგადოებას შარშანდელს ტფილისის სამეურნეო გამოფენაზე და სია იმ პირუტყვთა მფარველ საზოგადოებათა, რომელნიც არსებობენ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში. რუსეთში ამისთანა საზოგადოება სულ შვიდი ყოფილა, ხოლო ინგლისში 136. ტფილისის საზოგადოების თავმჯდომარეა პ. შ. მელიქ-ბეგლიაროვი, მისი ამხანაგი მ. ი. სერგეევი, ხაზინადარი გ. ი. ოვსიანნიკოვი და სეკრეტარი გ. მ. პაელოვი.

*** თავმჯდომარე „თავად-აზნაურთა საზოგადოების ქალთა განყოფილების კომიტეტისა“ კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა გვთხოვს ჩვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქალბატონს ეკატერინე ნიკოლოზის ასულს ბიკოვისას, რომელმაც ბათუმში გამართულ წარმოდგენის შემოსავლის ერთი ნაწილი, 50 მან., გამოგზავნა მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ, და აგრეთვე ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთაც ამავე სკოლის სასარგებლოდ გამოგზავნეს 20 მან.

*** ამ რამდენისამე წლის წინად, ტფილისში, ერთ ქართველ მასწავლებლის ხელში ჩვენ ვნახეთ ერთი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნი, სახელდობრ: „სწავლა კიდობანთა“, ქმნილი სულხან საბა ორბელიანისაგან. კარგი იქნება, რომ ეს წიგნი ამ მასწავლებელმა არ დაკარგოს და ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას გადასცეს, რადგანაც ამ საზოგადოების ბიბლიოთეკაში და სხვაგანაც ამ ხელთ-ნაწერის ეგზემპლიარი არ მოიპოვება. წიგნში შეკრებილი 165 ზღაპარი და ანეგდოტია.

*** ამ ჟამად ქალაქის საბჭოში აუარებელი საქმის ქაღალდებია თავ-

---

წარმოსდგა. ამის საბუთი ბიჭობაა, ეს ცხოველი მაგალითი მრავალ ცოლიანობისა, ალბულას სიტყვით, ბიჭს აზნაურის სისხლი სდის და მარტო დიდებულს შეუძლიან ბიჭი ჰყავდეს. სხვაგანაც ასე ყოფილა. პოლიგამიას ბოლო მოუღო სიღარიბემა, სარწმუნოებამ და იმ ხშირმა მოუსვენრობამა, რომელიც თან მოსდევს მრავალ ცოლიანობას[111]. უეჭველია, ყველა ამ მიზეზს საათაბაგოზედაც გავლენა უნდა ჰქონოდა და მრავალ-ცოლიანობა მოესპო.

ალბულა აღნიშნავს სხვა ჩვეულებასაც, რომელიც უფრო მეტად ამტკიცებს საზოგადო კანონის გავლენას საათაბაგოს ოჯახის მსვლელობაზედ. ასეთი ჩვეულება ეგრედ წოდებული ქალის წაგვრაა. მეცნიერება ამბობს, რომ წაგვრა და ქალის სყიდვა უძველესი და უწინარესი ფორმაა კერძო ცოლ-ქრმობისა. ყველგან, აზიასა და ევროპაში და აგრეთვე მთელს დედამიწის ზურგზედ კერძო ოჯახი ქალის წაგვრითა და სყიდვით დაარსებულა. წაგვრამა და სყიდვამ მოსპო სქესებრივი აღრევაცა. ხოლო ჯერ კიდევ გადაჭრით გამოკვლეული არაა, რომელი უფრო წინასწარია—წაგვრა თუ სყიდვა. ერთნი წინასწარად წაგვრას უჩვენებენ, მეორენი სყიდვასა. ზოგიერთნი ამ ორ აზრს შუა სდგანან და ამტკიცებენ—წაგვრა და სყიდვა ერთსა და იმავე დროს მოქმედობსო[112]. ასე იყო, მაგალითებრ, ძველ რომში, სადაც ერთს დროს ცოლის შერთვა წაგვრითაც შეიძლებოდა და სყიდვითაც[113]. როგორც უნდა იყოს, უცილობელი მხოლოდ ისაა, რომ წაგვრა უფრო ადრე ჰქრება და ისპობა და საბოლოოდ სყიდვა რჩება[114]. თუმცა ალბულა ცოლის სყიდვას პირდაპირ არ უჩვენებს, მაგრამ იმის სამართალში მოხსენებულია არა ერთი და ორი ისეთი ჩვეულება, რომელსაც დასაწყისი სყიდვაში უძევს. ათაბაგი ცხადად მარტო წაგვრას აღწერს. იმის დროს საათაბაგოში წაგრვას ცხოველი ძალა ჰქონია, თითქმის ისეთივე, როგორც ეხლაა ფშავ-ხევსურეთში[115]. საეკკლესიო კანონი ყოველთვის სდევნიდა წაგვრასა[116], იგი ქალის სყიდვასაც ეწინააღმდეგებოდა[117] და აქ არის მიზეზი, რომ ალბულაც სასტიკად ეჰყრობა წამგვრელსა.

წაგვრას ყველგან ორი დრო ჰქონია და ორად უცვლია ფერი. პირველ ხანს იგი ძალ-მომრეობა ყოფილა, მერე-კი ძალადობას თანხმობისათვის დაუთმია ასპარეზი და წაგვრა ნებაყოფლობის საქმედ გადაქცეულა (სიმბოლიური წაგვრა). საყურადღებოა, რომ საათაბაგოშიაც წაგვრას ამავე გზით უვლია. ალბულა იხსენიებს ძალად და ნება-ყოფლობით წაგვრას. პირველი წაგვრა ისაა, რომელიც „დიაცისა უმეცრად და უნდომლად“ უნდა მოხდეს და „ძალთა ლაშქართა უხლებლად ვერ უზამს“... ეს „ძალა ლაშქართა“ ევროპაშიაც ჩვეულებად ჰქონიათ და ზოგიერთა ადგილას ეხლაც აქვთ[118]. ამ ჩვეულებას გვაგონებს აწინდელი ქართული მაყრიონიც, რომელიც თოფ-იარაღით ქორწილში მისდევს საცოლო ვაჟს. მაგრამ მთაში ეხლაც ხანდახან „ლაშქრით“ იტაცებენ დიაცსა და საქორწილო მაყრიონი ცალკე იციან. პირვანდელი წაგვრა ისაა, რომელსაც ალბულა უწოდებს ლაშქრობას. უეჭველია, ასეთს წაგვრას თან მოსდევს სხვა-და-სხვა ფათერაკი და ბოროტება. ამიტომ ათაბაგი დიდ დანაშაულობად ჰხადის „დიაცისა უმეცრად და უნდომლად“ ლაშქრით მოტაცებას,—აქ წაგვრას დასხმულობაც ზედ ერთვის და სისხლიც დაშორებით ბევრი უნდა გარდახდეს ბრალდებულს: წაგვისათვის „ორი წილი“, დასხმულობისა კიდევ სხვა იყოსო (მუხ. მთ.). ნება-ყოფლობითი წაგვრა იმას ჰქვიან, როცა „დიაცი მისით ნებით და წადილითა გაყვეს თანა“. ალბულას აზრით, ასეთი წაგვრა, შედარებით, მსუბუქი ბოროტებაა და ბრალდებულსაც მცირე სასჯელი უნდა გადახდეს—„რასაც გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორი ნაწილი დაუურვოს ქმარსაო“. „ნებითა და წადილით გაყოლა“ წაგვრის მეორე ფორმაა. მაშასადამე, ერთსა და იმავე დროს საათაბაგოში ორივე წაგვრა მოქმედებდა და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ოჯახს ფესვი ჯერ ისევ შორეულს წარსულში ედგა, თუმცა ცვლილებასაც მისდევდა. საოჯახო წყობილებას ყველგან ასეთი ბედი ჰქონია და ამ გზით უვლია. გაყოლას თან მოსდევდა სასაქონლოს და ზითვის „წატანა“, „გატანა“. ალბულა ამბობს, თუ წამგვრელს ქმარყოფილის სასაქონლო „წაუტანია“, პატრონს დაუბრუნოსო. მაგრამ როცა დიაცი, გაყოლის დროს, თავის ზითვს წაიღებდა, ქმარყოფილი ნუ მოსთხოვს, იმას მარტო ის დარჩეს, რაც გაყოლილმა ვერ წაიღოო. თუნდა შვილებიც თან წაეყვანა, დიაცს მაინც ნება არა ჰქონდა დარჩენილი მოეთხოვა, „ამად რომ გულით დაუგდია სახლი, ქმარი და ზითვი“. სხვაფრივ ბჭობს ალბულა ეგრედ წოდებულს სამამულო ზითვზედ,—იგი ზითვი დიაცის სამშობლოს ეკუთვნის და სამშობლოზე ჰკიდია, დაუბრუნებს თუ არა გაყოლილსაო. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი პირობა იყო სავალდებულო: სამამულო ზითვი ქმარყოფილს უნდა სჭეროდა, სინამდე წამგვრელი სისხლს არ დაუურვებდა.

ჩვენ ვსთქვით, რომ საათაბაგოს წაგვრას ფესვის შორეულს წარსულში უდგიაო. მართლაც და, წაგვრასთან მოხსენებულია ასეთი უძველესი ჩვეულება, როგორიც დედეულობაა. დედეულობის დროს მხოლოდ დიაცის ნათესაობა იღებდა წაგვრის სისხლსა და შურის ძიებაც ამ ნათესაობის საქმე იყო. ქმრის ნათესაობას არა ეკითხოდა-რა. ასე ყოფილა ყველგან და კერძოდ ინგლელ-საქსონლების ძველი სამართალიც ამას ამესებს[119]. ალბულას სამართალიც თითქმის ამასვე ამბობს: თუ წაგვრილს დიაცს შვილები არა ჰყავს, წამგვრელმა სისხლი მარტო დიაცის სამშობლოს დაუურვოს და ქმარყოფილს სისხლისა არა ეკითხვის-რაო (მუხ. მზ.) დედეული ნათესაობა, რომელსაც მეცნიერებაში სახელად კოგნატობა ჰქვიან, უწინარესი კავშირი და სანათესაო დამოკიდებულობაა. მისი დასაწყისი სქესებრივს აღრევაშია და მაშინ ჩნდება, როცა მამა ცნობილი არაა იურიდიულად და ყოველ გვარი ურთიერთობა დედისაგან მომდინარეობს. კოგნატნი ერთის სისხლისა და ხორცისანი არიან, მხოლოდ დედა მიაჩნიათ მშობლად და ნათესაობასაც იმაზე აფუძებენ. სისხლის აღება და სხვა გვარი მფარველობაც მათი საქმეა[120]. მამეული ნათესაობა, ეგრედ წოდებული აგნატობა შემდეგ იბადება, როცა დედის ადგილს მამა იჭერს და ქალი კაცს უთმობს ასპარეზსა. და როცა ალბულა ამბობს, უშვილო დიაცის სისხლი იმის სამშობლოს ეკუთვნისო, ამით უნებლიედ აღნიშნავს ერთს უძველეს ჩვეულებათაგანს.

წაგვრა სამართალში ორ ადგილას კიდევ ცალკეა მოხსენებული (მუხ. რლვ, რპვ). სჯულ-მდებელი არ განმარტავს—იგი რა თვისებისა და ხასიათისაა, მარტო დასძენს, წამგვრელმა სრული სისხლი დაუურვოსო. მაგრამ რაღ, როცა ზემოდ ნაჩვენებ წა-

111) ibid. 78—80.
112) ibid. 81—86.
113) Р. Зомъ, Институціи Римскаго права, 289—292.
114) Первобытное право, II. 107—110.
115) Законъ и Обычай на Каказѣ, II. 89. დღესტანში ცოლს ჰყიდულობენ, ibid. 177—178, თუმცა წაგვრითაც ირთავენ.
116) М. Богословскій. 117.
117) Первобытное право, II. 127—8.
118) ibid. 104—6.
119) Первобытное право I. 131—133.
120 ibid. гл. III, IV.

მოყრილი, რის გამოც სხდომა კვირაში ორჯერ მოხდება.

*** ამ ბოლო ხანებში ტფილისში ახლო-მახლო სოფლებიდამ გლეხებს ურმით ჩამოაქვთ ყინული და ჰყიდიან თითქმის ნახევარ ფასად მაშინ, როდესაც ეს ყინული ძალიან წმინდაა და გაცილებით სჯობია მტკვრის ყინულს.

*** სოფ. ახსატანი: ჩვენსკენ მძვინვარებს საქონლის ჭირი. ეს ჭირი უფრო მეტად მუსრს ავლებს კამბეჩეულობას. პირუტყვთა მკურნალის ანუ ბეითალის ჭაჭანებაც არ არის აქ. საჭიროა შველა.

*** ბელაგორიდგან ატყობინებენ „Тифл. Лист.“-ს: ცხრამეტს იანვარს აქაურ სატუსაღოდგან გაიქცა ერთი კიკნაძის მკვლელთაგანი. გაქცეული კიკნაძისავე გვარის კაცია.

*** იანვრის 22, ნაშუადღევის 4 საათზე, შაშიანის მცხოვრებლის გლეხის ლადო ხოტელაშვილის სადგურში, მუხრანის ქუჩაზე, სტუმრად მივიდა ჯვარის კაცად ნამყოფი ვიღაც მერნშტეინი და ნახევარს საათს შემდეგ უეცრად გარდაიცვალა.

*** ამ თვის 21 ზანგეზურის მცხოვრებელმა კართაზან მარტიროზოვმა ჯიბიდგან 300 მან. მოჰპარა ქ. ჩანბარის მცხოვრებელს კორნია პეტროვს. დამნაშავე შეიპყრეს და ფულიც უპოვეს.

## ქალაქის არჩევანები

ქალაქის თავი რომ ამოარჩიეს და ისევ ბ-ნი მატინოვი დარჩა ამ ადგილზე, ჯერ მაშინ ჩამოჰწარეს სიცოცხლე ქალაქის ამომრჩეველებმა. სომხები ნიშნს მიგებდნენ—ჩვენთან ახარას გაჰხდებით გიკვრაცუებიო, რა ფონს გახვალთო. ქართველებმა ხომ ილაჯი წაილეს—იმდენი ვეცადენით, ისეთი მხნეობა გამოვიჩინეთ, რომ მთელი ოც-და-ორი ქართველი ხმოსანი ამოვირჩიეთ, რომ საქმეში მონაწილეობა რამ გვქონოდა ჩვენცაო და ეგ უნარი გქონიათ, რომ ისევ ძველი ბატონი დაგვისვით სათავეშიო.

მერე, ამ ბოლოს დროს, როდესაც გამგეობის წევრად ისევ ბ-ნი ხოსროევი იქმნა ამორჩეული და საბჭოს მდივნად იგივ ბ-ნი ტიგრანიანცი, ხომ აღარა აქვს საზღვარი ერთ მხარეზე ბედნიერებასა და მეორეზე მწუხარებას, ნიშნის მოგებასა და საყვედურს; პირველნი ტაშს უკრავენ და უკვირთ თავიანთი გამარჯვება, მეორენი წუწუნობენ და თანაც უკვირთ თავიანთი დამარცხება.

მე ერთი მოკენჭეთაგანი გახლავართ, ერთგულად ვადევნებ თვალს ამ ორის დასის ავ-კარგიანობას და გაშტერებული ვარ, ან ერთ მხარეს რა უნახავს გასახარებელი, ან მეორეს—სამწუხარო და სატირალი. ეს თორმეტი წელიწადია, რაც ბ-ნი მატინოვი ქალაქის მოურავად იყო და ბ-ნი ხოსროევი—გამგეობის წევრად, და ამ მხნის განმავლობაში აქამდე ერთხელაც არ მინახავს, რომ ვისმე სასიხარულოდ ჰქონოდეს ან ერთის მოურავობა, ან მეორის წევრობა. პირიქით, ვინც დღეს გახარებულია, აქამომდე სულ მათ ძაგებასა და ძრახვაში იყო. სამდურავის მეტი არა მესმოდა-რა იმათ შესახებ. ამავ თორმეტ წელს ქალაქის საბჭოში სულ ხუთი-ექვსი ქართველი კაცი იყო და არც ერთის ქართველის შუბლი არ მინახავს შეკრული, არც ერთი მათგანი არ მინახავს დაღონებული ამ გარემოების გამო. ეხლა-კი, როდესაც მთელმა ოც-და-ორმა კაცმა დაიჭირა ადგილი საბჭოში, თავპირი ჩამოსტირით და საკინძ-ჩამოწყვეტილები დაიარებიან ნიშნად გლოვისა და მწუხარებისა.

რას უნდა მიეაწეროთ ან სიხარული პირველებისა, ან გლოვა მეორეებისა? ჩემის აზრით, დღეს საქმეს ისეთი ფერი დაედო, რომ თუ სამწუხარო აქვს ვისმე რამ, ისევ პირველებსა აქვთ, და თუ უნდა უხაროდეს აქ ვისმე, ისევ მეორეებს უნდა უხაროდეს. სირცხვილიც-კია ვაჟკაცობაზე ხმა ამოიღოს იმ დასმა, რომელსაც ოცდა-თვრამეტი კენჭოსანი კაცი ჰყავს და ებრძვის დასს, რომლის რაზმშიაც მხოლოდ ოცდა ორი კაცია! მუშტზე რომ იყოს მიმდგარი საქმე, მართალი გითხრათ, მაშინ-კი სწორედ სასახელო იქნებოდა, რომ ამისთანა ოცდა თვრამეტს ეჯობნა ოცდა ორისათვის! მაშინ ბუკი და ნაღარა სწორეთ უადგილო არ იქნებოდა. მაგრამ რას იზამთ, როდესაც ყუთში ყოველ კენჭს, რაც გინდ ლაჩარისაგან იყოს ჩაგდებული, თანაბარი ძალა და ღონე აქვს, და ამიტომ რად უნდა უკვირდეს ვისმე, რომ სათვალავში 38 კენჭი უფრო მეტი გამოდის, ვიდრე 22? თანაც ერთი შეხედეთ გამარჯვებასა და დამარცხებას. ქართველ ხმოსნებს ამ არჩევანებში სულ ცხრამეტი კენჭი ჰქონდათ, რადგან სამნი ვერ დაესწრნენ ავადმყოფობის გამო, და არჩეულებმა-კი ოცდა ათ კენჭამდე შავები გაიკრეს. მაშასადამე, ჩვენმა კენჭებმა იბრტყეს და ათი თერთმეტი ხმა მომეტებული იშოვნეს. განა ეს დამარცხებაა?!. ბევრნი არიან და ირჩევენ. გამარჯვებულნი მაშინ იქმნებოდნენ, რომ ყველასთვის სასურველნი ამოერჩიათ და ებრძანებინათ—ვინძლო კარგად წაიყვანოთ საქმეებიო. ეხლა-კი..

მეკენჭე

## ორი კინტო

(ახირებული ზღაპარი)

ორი კინტო იყო: ერთი ტინისხიდელი, მეორე—ხიდისთაველი. ორივენი ერთმანეთისა დიდი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ხასიათით კი ძნელად თუ მორიგებულიყვნენ ერთმანეთში. ხიდისთაველი ისეთი ჩამტიებელი კაცი იყო, გახვრეტილი და დახეჩქვილი ორ-გროშიანი რომ კისსხებინა ვისთვისმე, სულამდე ჩაჰყვებოდა და არავის შეარჩენდა, თუნდა სამაგიეროდ მთელი მრახაც მიეღო; ტინისხიდელი კიდევ ისეთი ჯანჯალი იყო, ერთი ჯამი ლობიო რომ ჰმართებოდა ვისიმე, მთელს მეჯლისსა და ნადიმს გაუმართავდა მოვალეს და იმ ერთს ჯამს ლობიოს-კი არ დაუბრუნებდა. ერთხელ ტინისხიდელმა ერთი აბაზი ისესხა თავის მეგობარ ხიდისთაველისაგან და სამის დღის უკან დაჰპირდა დაბრუნებას.

შესრულდა ვადა. მოვალე მიადგა მეგობარს. ტინისხიდელი კარგად დაუხვდა, ქათამი დაუკლა, ერთი თუნგი ღვინო დაალევინა, დიდი პატივი სცა და ასეთის ბოდიშით გამოისტუმრა: უკაცრავად, ძმაო, ვერ გიშოვნე, ერთი თვე კიდევ დამაცალე და გადაგიხდიო.

გაიარა კიდევ თვემ. მოვალე ისევ კარზედ მიადგა, ტინისხიდელმა კიდევ ქათამი დაუკლა, ერთი თუნგი ღვინო დაალევინა და კვლავ თავი მოიბოდიშა,—ერთის თვის უკან მოდი და მაშინ მოგცემო. ასე ატარა კარგა ხანს, ათი ქათამი შეაჭამა მოვალეს და ერთი კოკა ღვინო შესვა. ბოლოს რომ გამოელია სურსათი, ცოლს უთხრა:

— როგორც ხედავ, ის თავისს აბაზს არ შემარჩენს, თუ ხრიკი რამ არ მოვუგონეთ. კუბოს ვიყიდი, შიგ ჩავწვები. როცა კიდევ მოვიდეს, ტირილსა და ქვითინს მოჰყევი. ჩემს სიკვდილს რომ გაიგებს, იტყვის, ახლა იყოს მაგაზედ ჩემი ერთი აბაზიო, და მერე ხმას თავისს სიტყვას ველარ გადასთქვამსო.

იყიდეს კუბო. ცოლმა შავები ჩაიცვა და მდუღარების გადმოხნევა დაიწყო. ამ დროს მოვალეც მიადგათ კარზედ. ქალი ტირილით მიეგება კარებში და შესჩივლა თავისის ოჯახის დამხობა. ამ უბედურების ამბავი რომ გაიგო, ხიდისთაველმა კინტომაც დაიწყო ვაი და უში, მივიდა კუბოსთან და დაიღრიალა:

— ვაიმე, ჩემო აბაზო! მეც ამ კუბოში ჩამაწვინეთ, მეც ამასთან დამმარხეთ, რადგან ჩემი აბაზი მაგაზე დარჩაო.

მღვდელი მოვიდა. ანდერძი აუგეს და მკვდარი იქვე ერთს გამონგრეულს ეკკლესიაში მიასვენეს. კინტო არც ეხლა მოეშვა, გაჰყვა განსვენებულს, მეც ამასთან უნდა დავიმარხოო, ამასთან უნდა გავათიო ღამეო.

შუა ღამე რომ შეიქმნა, ხიდისთაველს ფეხის ხმა მოესმა, შეეშინდა, კაი თუ ავაზაკები იყვნენო, და ტრაპეზში შევარდა გულ-გახეთქილი. ცოტა ხანს შემდეგ სამი კაცი შემოვიდა ეკკლესიაში და ერთი ფულით კარგა სავსე მოზრდილი ხარკი შემოიტანეს. ქურდები უფილიყვნენ, ხაზინა გაეძარცვათ და ახლა ფულს იყოფდნენ. აანთეს სანთლები, ფული დაახროვეს და თითო მუჭ-მუჭა რომ ჩამოარიგეს, ერთი მუჭაც დარჩათ და ლაპარაკი მოუვიდათ, არა, ჩემია, არა, ჩემიო. ბოლოს ერთმა სთქვა:

— ეს მკვდარი კუბოიანად აავყუდოთ და ვინც ერთის ხანჯლის დაკვრით შუაზედ გაპობს, ეს ერთი მუჭა ოქრო იმას ვარგუნოთო.

ყველანი დასთანხმდნენ. ააყენეს კუ-

---

გერისათვის გაჩენილია ორკეცი სისხლი? რას ნიშნავს ეს უთანასწორობა? ამის პასუხი წოდებრივს წყობილებაში უნდა მოიძებნოს. საქმე ისაა, სადაც წოდებათა სხვა-და-სხვაობა სუფევდა, იქ მდაბიო ხალხს ნაკლები სისხლი სდიოდა. ასე იყო, მაგ. ძველ რუსეთსა და მონგოლიაში [121]). რასაკვირველია, ვერც საათაბაგო ასცდა ამ ბედსა და წაგვრის სრული სისხლი სავალდებულო შეიქმნა მარტო დაბალ წოდებისათვის, რომელს ავიცა და კარგიც ცოტა მოეთხოვება. ორკეცი სისხლი მხოლოდ დიდებულებს სდიოდათ (და იქნება ზოგიერთა აზნაურებსაც). ამას სეფე ქალის წაგვრაც ამტკიცებს,—„თუ კაცმან კაცს სეფე ქალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურვოსო“ (მუხ. კე) აქ ორი მსახურის სისხლი ორკეცს სისხლს უდრის და მაღალი წოდება სწორედ ამოდენ სისხლს იურვებდა [122]).

სეფე ქალის (დიდებულის გასათხოვარი ქალის) წაგვრა უფრო მსუბუქი დანაშაულებაა, ვიდრე დიდებულის ცოლის წაგვრა. ალბულა დასწერს, პირველ წამგვრელმა ორის მსახურის სისხლი დაიურვოს, მეორემ—ორკეცი, დიდებულის გვარსა ზედაო. მსახური ხომ ძლიერ დაბლა იდგა დიდებულზედ. მაშასადამე, სეფე ქალის წაგვრაც უფრო საადვილო იყო. რისთვის?—მისთვის, რომ პირველად ჩვეულება კაცსა მხოლოდ გასათხოვარ ქალის წაგვრის ნებას აძლევდა, რადგანაც ასეთის წაგვრით მყარდებოდა ცოლქმრობა და სხვა საშუალება არ იყო. ქმრიან ქალის წაგვრა და ეგრედ წოდებული გაწბილება (წაგვრა შერცხვენის მისაყენებლად) შემდეგ გაჩენილა და როგორც სჯულ-მდებლობის ისტორია მოწმობს [123]), ყველგან მიღებული ყოფილა დიდ დანაშაულობად. მიზეზი ცხადია: იგი წაგვრა ცოლის შერთვის საშუალება-კი არა, არამედ ცოლქმრობის უარყოფა და დარღვევაა და ამიტომ მეტად უნდა დაისაჯოსო. ძველად საქართველოსა და საათაბაგოშიაც ჩვეულებად მარტო გასათხოვარი ქალის წაგვრა ჰქონიათ და აქ არის საბუთი, რომ ძველი სამართალიც მოწყალეა ასეთის წაგვრისა. ქმრიან ქალის წაგვრა ჩვენშიც შემდეგ გაჩენილა და ისეთივე ბედი გამოუვლია, როგორც სხვაგან. და ქართული წაგვრაც რომ საზოგადო გზას სდგომია, ეგრედ წოდებული ჯვარის გაცვლა ამტკიცებს. ჯერ ისევ „ძეგლის-დება“ ამბობდა, ჯვარ გაცვლილის (დანიშნულის) წაგვრა სხვაა და უფრო მსუბუქია, ვიდრე ცოლისაო. რასაკვირველია, სისხლსაც სხვა-და-სხვასა სდებდა ორსავე დანაშაულობას,—პირველს ნაკლებსა, მეორეს მეტსა. სისხლის ასეთი მეტ-ნაკლებობა ადვილად მისახვედრია, თუ აზრად ექონიებთ, რომ „ჯვარ-გაცვლილის“ წაგვრა უფრო ახლოა პირვანდელსა და ძველებურს საცოლოს მოტაცებაზედ და მაშასადამე უფრო შესაფერებელია ადათისა და ჩვეულებისა. ხოლო ადათსა და ჩვეულებას ყველა სჯულ-მდებლობა პატივსა სდებდა და „ძეგლის დებამაც“ დასდო.

ალბულაც იხსენიებს ჯვარ-გაცვლილის საცოლეს წაგვრას, მაგრამ დანაშაულობად-კი არა ჰხადის,—„სამდურავისა კიდე დასაურვებლად არცა ემართლების“ წამგვრელიო. ათაბაგი წამგვრელს მხოლოდ რჩევას აძლევს „მისაცემელითა რითამე გული მოუგოს“ საქმროსა და შუაკაცებმა „ზავი მოშალონო“ (მუხ. მ.) ცხადია, რომ საათაბაგოს ჯვარ-გაცვლილის წაგვრა თითქმის იგივე პირვანდელი წაგვრაა, რომელიც ხალხს თავის ჩვეულებად სწამდა და ადათად მიაჩნდა. ეს „ჯვარის გაცვლა“ იურიდიულ ძალას მოკლებულია და თითქო სავალდებულოც არაა საქმროსა და საცოლოსათვის. ამიტომაც სამართალი ასე მსუბუქად იჯერს ჯვარ-გაცვლილის წამგვრელსა. და ამით კიდევ ის მტკიცდება, რომ ჩვენშიაც გასათხოვარის ქალის წაგვრა უფრო შესაწყნარებელი და ჩვეულების შესაფერი იყო, ვიდრე ცოლის წაგვრა. მართალია, ეხლაც ფშავ-ხევსურეთში „ჯვარის გაცვლას“ იურიდიული ძალა აქვს და სავალდებულოა ორსავე მხარესათვის [124]), წინადაც სავალდებულოდ ეღიარა იგი ვახტანგმა, მაგრამ ამ გარემოებას მიზეზად უცხოელი სჯული დაედო,—ბიზანტიის სამართალმა თითქმის სულ შესცვალა „ჯვარის გაცვლის“ აზრი და მნიშვნელობა [125]). იგი სამართალი მეტად ემორჩილებოდა საეკკლესიო მოძღვრებასა, ეკკლესია კიდევ მუდამ წაგვრას ებრძოდა და ჰქადაგებდა „ჯვარის გაცვლა“ საღმრთო საქმეა და დაურღვეველი კავშირიო [126]). მაგრამ საათაბაგოს „ჯვარის გაცვლამ“ თითქო ყური არ ათხოვა ამ ღაღადებას და პირვანდელი თვისი ბუნება დაიცვა.

განსაკუთრებულს საოჯახო მოვლენას წარმოადგენდა გვირგვინ შეუსკვნელად ქალთან კავშირი. ალბულას სიტყვით, „თუ კაცი კაცსა ცოლსა მისცემს და გვირგვინსა არ შესკვნის, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს და სამსახურიცა შეექცეს“, ე. ი. თორმეტ ათას თეთრს გარდა, რამდენი დროც უგვირგვინოდ უცხოვრია, იმისი ცალკე მისცესო (მუხ. რმ.) თუ ჯვარის გაცვლას სავალდებულო ძალა არა ჰქონდა, მაშ ასე სასტიკად რად ეპყრობოდა სამართალი გვირგვინ შეუსკვნელობას? რად მოხდა, რომ ჯვარ-გაცვლილის წამგვრელს კაცი მარტო „სამდურავს ემართლების“ და იმავე დროს გვირგვინ შეუსკვნელს თორმეტ ათას თეთრსაც არ აჯერებს? მიზეზი და საბუთი აქ თვით წაგვრასა და გვირგვინშია. საზოგადოდ წაგვრა და კერძოდ ჯვარ-გაცვლილის წაგვრა, თუმცა ძველ დროიდამ მომდინარეობდა, მაგრამ მაინც ისეთს ცხოველს ჩვეულებას შეადგენდა, რომლისთვისაც სამართალს ნება-უნებურად მფარველობა უნდა გაეწია. უმეტეს ნაწილად ცოლს წაგვრით შოულობდნენ და ამიტომაც ალბულა მაგრე რიგად ყურადღებას არ აქცევდა უქმრო ქალის წაგვრას. სულ სხვა იყო გვირგვინ შეუსკვნელობა. ეს უკანასკნელი ნიშნავდა ცოლის დაგდებას და ცოლქმრობის დარღვევასა. ასეთს დანაშაულობას ეხლაც სასტიკად სდევნიან მთაში და ბრალდებულს სამწუხობროს ახდევინებენ [127]). საათაბაგოს გვირგვინ შეუსკვნელობაც ცოლის დაწუნებაა და „სამსახურის შექცევა“ ძლიერ მიაგავს სამწუხობროს. გვირგვინ შეუსკვნელი ქალიც ცოლი იყო, ხოლო სამოქალაქო, თუ ეს სიტყვა აქ გამოდგება. ასეთი ცოლია ფშავ-ხევსურის დიაციც. და თუ ალბულა გვირგვინის შეკვნას ესარჩლება, ეს მხოლოდ ამტკიცებს, რომ იმის დროს ეკკლესიის საქორწინო მოძღვრება ჯერ კიდევ განხორციელებული არა ყოფილა ცხოვრებაში და უგვირგვინოდაც უცხოვრიათ. გვირგვინ შეუსკვნელს ქრუში არ ეთქმის, იმიტომ რომ ძველი სამართალი და სხვათა შორის Русская правда და იაროსლავის «Церковный уставъ» ქრუშს სასჯელს არა სდებს [128]), ალბულა-კი დიდს სისხლს ახდევინებს გვირგვინ შეუსკვნელსა. მაგრამ გვირგვინ შესკვნამდე „ცოლად მიცემას“ სათავე მაინც წარსულს წყვდიადში აქვს, იმ ბნელსა და უმეცარ დროში,

---

121) Леонтовичъ, 96, 133. მუხ. 54 და 146 ოირატის სამართლისა.

122) ვერძა სიგელებში ცოლის წაგვრისათვის გაჩენილია სისხლის ნახევარი და სეფე ქალის წაგვრა მოხსენებული არაა, Двор. Грам. 36—39.

123) [illegible] и Древ. Зак. II, 143—6.

124) Зак. и Об. на Кав. I, 135.

125) ibid. 133—4.

126) М. Богословскій, 104, 112.

127) Зак. и об. на Кав. II. 90.

128) Совр. Об. и Древ. Зак. II. 146

ბო და ის იყო ხანჯლის დაქნევას აპირებდა ერთი მათგანი, რომ მკვდარმა დაიღრიალა:

— არიქათ, მკვდრებო, მიშველეთ!

ეს ხმა გაიგონა ტრაპეზში მიმალულმა კინტომ და იქიდგან გამოსძახა:

— მაგრად დაიჭი, არსად გაუშვა, ჩვენც მოვდივართო!

გულ-გახეთქილი და თავს ზარ-დაცემული ქურდები გამოცვივდნენ გარედ და თავქვე დაეშვნენ. იქ დარჩენილი ფული ორმა კინტომ გაიყო. ბოლოს უთხრა ხიდისთაველმა: ძმაო ესლა ხომ გაქვს ფული, მომეცი ჩემი ერთი აბაზიო, ტანისიდელი არ აძლევდა და უარზედ იდგა, ესლა არა მაქვსო. ამასობაში ქურდებმა კარგა მანძილი გამოირბინეს და ბოლოს შედგნენ. ერთმა სთქვა:

— მოდი ჩვენთაგანი ერთი წავიდეს და ჭნახოს, მკვდრები ისევ ფეხზედ დგანან, თუ კვლავ დაიხოცნენო.

გამოამგზავრეს ერთი ამხანაგთაგანი. ქურდი დიდის სიფრთხილითა და შიშით მივიდა ეკკლესიასთან და უნდოდა ფანჯრიდგან გადაეხედნა. გადაყო თუ არა თავი, ტანისიდელმა თვალი შეასწრო, სტაცა ქუდში ხელი, მოჭხადა, თავის მეგობარს გადუგდო,— აჲა, შენს აბაზში აიღეო, და ამითი მოიშორა მოკალე.

გულ-გადაჩქროლებული ქურდი-კი უკანვე დაბრუნდა ამხანაგებთან და კანკალითა და ცახცახით უამბო:

— ძმებო, არიქათ, თავს ვუშველოთ; იმდენი მკვდარი წამომდგარა ფეხზედ, რომ ჩვენი ფული, როცა გაუყვიათ, თითო აბაზადაც არა რგებიათ. ერთს დაკლებია და იმასაც ჩემი ქუდი მისცეს აბაზშიო.

ამ სიტყვით დაშფრთხალმა ქურდებმა კალთები აიკრიბეს და ცხრა მთას იქით გადაიკარგნენ.

## დეპეშა

22 იანვარი

ბერლინი. დღეს გამოცხადდა ბრძანება, რომ მთავარ-შტაბის უფროსი გრაფი ვალდერძეე მე-9 კორპუსის უფროსად იქმნა დანიშნული ალტონში.

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა დასწია დისკონტი ვექსილების განაღდებისა 4-დგან 3 1/2 %-მდე, ხოლო გირაოდ მიღებულ ფასიან ქაღალდებისა 4-დგან 4 1/2 %-მდე ასწია.

23 იანვარი

პეტერბურგი. გუშინ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობამ, ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ინებეს ენახათ სემენოვის სამხედრო გოსპიტალი; დაიარეს საავადმყოფო ოთახები და აგრეთვე საოფლით ავადმყოფთა ოთახიც.

პეტერბურგის ბირჟა, 22 იანვარი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 92 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 138 1/2 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 238 1/2 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 215 1/4 | — „ | 213 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

როცა სქესებრივი აღრევა არსებობდა. არა ერთი და ორი მაგალითი ღაღადებს, რომ თვით ევროპაში აღრევის ნაშთი დიდხანს არ გამქრალა. ჯერ ისევ საშუალო საუკუნოებში ევროპის მდაბიო ხალხი თაყვანსა სცემდა მამაკაცის სარცხვენელს ასოსა. ამ ასოს მსგავსს პატარა ფიგურებს აკეთებდნენ და ტაძარში მიჰქონდათ. იქ კრძალვით ევედრებოდნენ, თითქო ეს ფიგურები ყოვლად მკურნალი თილისმებიაო [129]).

ცალკეა მოხსენებული „დედაწულის ცოლის აშიკობა და მოყივნება". ხოლო ეს აშიკობა და მოყივნება დანაშაულობას მაშინ შეადგენს, როცა ქალიც დედაწულია და კაციცა,— ერთს ქმარი ჰყავს და მეორეს ცოლი. მაშასადამე, თუ უქმრო და უცოლო ერთმანეთს უაშიყებდნენ და უყვარდნენ, არაფერიო,— ალბუღა ასეთს საქციელს ბრალად და ბოროტებად არა სცნობს, თუ არა და, ყურადღებას არ აქცევს. რასაკვირველია, ამ შეხედულობას საბუთი ისევ იმ დროში უნდა მოეძებნოს, როცა სქესობრივი ვნება უსაზღვროდ სჩქეფდა და როცა ყველა დაუბრკოლებლად ეძლეოდა გულის-თქმასა... თვით „მოყივნების" მოედანი უ-წროდ არის შემოფარგლული—მოყივნე „მეყვისი" და „ერთ სახლიანი", უნდა იყოს. თუ არა და, მეგობარი მაინცაო. თუ მოყივნე არც მეყვისი და ერთ სახლიანია და არც მეგობარი, მაშინ ყველა ეპატიება. მოყივნების ასეთი ხასიათი პირდაპირ ამტკიცებს, რომ საზოგადოდ მრუშება არც საათაბაგოში მიაჩნდათ დანაშაულობად, როგორც არ მიაჩნდათ ძველად სხვაგანაც [130]). მოყივნემ ცოლის ქმარს სრული სისხლი დაუურვოს, მაგრამ ეს არა კმარაო: გააშიშვლონ და ნიფხვის ამარა ყელზედ საბელი შებმული უბან-უბნად ატარონ სამარცხვინოდაო (მუხ. კდ.) ძველად ინდოეთში და ზოგიერთა სხვა ადგილას ასე სამარცხვინოდ ბოზს ქალსა სჯიდნენ [131]) და თუმცა ალბუღა მხოლოდ მოყივნე კაცს უქადის ამ სასჯელს, მაგრამ სასჯელს მაინც დასაწყისი შორეულს წარსულში აქვს და იქმნება უცხოეთიდგან შემოღებულია.

მოყივნეს შეეძლო თავიდამ აეცილებინა ეს სამარცხვინო სასჯელი. ამისათვის საჭირო იყო ორკეცი სისხლის დაურვა. საყურადღებოა, რომ მარტო მდაბიო კაცს სჯიდნენ ასე სამარცხვინოდ. როცა ალბუღა კერძოდ დიდებულისა და აზნაურის ბოზობას აწერს, სამარცხვინო სასჯელს სულ არ იხსენიებს (მუხ. კზ.) გარდა ამისა, სამართალი პირდაპირ ამბობს მთავარმან და პატრონმან მისმან შიშველი და ყელ საბლიანი მოყივნე უბან-უბნად ატაროს და მთავარი და პატრონი ხომ მარტო დაბალ წოდებას ჰყავდა. სამართალში არც „ცოლის წამებაა" დავიწყებული. ალბუღა „ცოლის წამებას" ბრალად სდებს შეწამებულს,— თუ შეწამებულმა თავი ფიცით ვერ იმართლა, ქმარს სისხლი უზღოსო (მუხ. რკა).

ნ. ურბნელი.

(შემდეგი იქნება)

[129]) Первобытное право, II, 30—2.

[130]) Совр. Об. и Древ. Зак. ц 146.

[131]) ibid. 153.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვდაზე გემები.

## განცხადებანი

ტფ. სათ.-აზნ. ბანკ. თეატრში

პარასკევს 25-სა და კვერას 27 იანვარს წარმოდგენილი იქნება ახალი ფეერია—არაკი

### ივან ცარევიჩი

6 სურათად, თხზ. როდოსლავსკისა.

ამ წარმოდგენისათვის მომზადებულია ახალი დეკორაციები, მაშინები, ტანისამოსი. წარმოდგენა ჯდება 4,000 მანათზედ მეტი. მონაწილეობას მიიღებს 140-მდე სული და 40 ყმაწვილი. დაწვრილებული ცნობები აფიშებშია. ბილეთები უკვე ისყიდება.

### ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ბოდიშს იხდის „კედლის კალენდრის" მყიდველთა წინაშე, რომ ზოგიერთ ეგზემპლიარში ფურცლები განმეორებულია, რაც მოხდა მკაზმავის უყურადღებობისა გამო. მომავალში კალენდარი აკინძული იქმნება თანადასწრებით ჩვენის კაცისა, რათა ამ გვარი მიუტევებელი შეცდომა არ გან მეორდეს. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

სასტუმრო „ნემეცურ ბაღ"-ში (უწინდელი მისელისა)

მიხეილის ქუჩაზე

გვაქვს ძალიან სანთო, დიდი და მოხერხებული დარბაზი, სადაც შეიძლება გაიმართოს წარმოდგენები, რისთვისაც სცენაც არის მოწყობილი, კორწილები და ყოველ გვარი მეჯლისი. ამეებისათვის იქვე ვამზადებთ ყოველსავე საჭირო საჭმელს. სამზარეულოში საუცხოვო სანოვაგე გვაქვს, ახალად მოტანილი. ფასები ზომიერია. სახლებშიაც შეიძლება სადილისა და ვახშმის გაგზავნა.

(4—2) პატრონი ძაღლაძე

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову". ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.

სააოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით . . . | 10 მ. — კ. | 6 | თვეით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

### „ისტორიული ნარკვევი"

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Тифлисъ, Дов. цен. 23-го Января 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.